# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-963

23/10/2020

ქ. თბილისი

**გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სს ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" 272 მეგავატი სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის (გარდაბანი-3) მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის მე-2 პუნქტის, ასევე II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სს ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" 272 მეგავატი სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის (გარდაბანი-3) მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N83 (12.10.2020);
2. სს ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N83 (12.10.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

**ლევან დავითაშვილი**

**მინისტრი**